ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

№ 8

ყოველთვიური ილუსტრირებული ჟურნალი. — ტფილისი.

1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—გაზაფხულის პირი.—ლექსი, ი. ევდოშვილისა 3

II—ერთის თავხელის თაგვის ამბავი.—თ. რაზიკაშვილისა . . 5

III—გოგლოს გატყეპვა.—ვ. თამრიშვილისა 10

V—ტამბუქტუ.—(რუსულით) ლ. ელიავასი 13

IV—სპილო.—(თარგმანი) ან. ქავთარაძისა 15

VI—ვირის თავგადასავალი.—(ფრანგულით) ან. ამილახვრისა 20

VII—ა) გამოცან,—ბ) რებუსი და აღსნა 24

[illegible]

წელიწადი მე-V. № 8 აპრილი 1909 წ.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—გაზაფხულის პირი.—ლექსი, ი. ევდოშვილისა..... 3

II—ერთის თავხედის თაგვის ამბავი.—თ. რაზიკაშვილისა.. 5

III—გოგლოს გატყეპვა.—ვ. თამრეშვილისა.... 10

V—ტამბუქტუ.—(რუსულით) ლ. ელიავასი..... . 13

IV—სპილო.—(თარგმანი) ნ. ქავთარაძისა.. 15

VI—ვირის თავგადასავალი.—(ფრანგულით) ნ. ამილახვრისა 20

VII—ა) გამოცან, —ბ) რებუსი და აღსნა 24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ჰირი

ჭექილმა ამოიწია,
გადგა ბორჯი და ჰირია,
იამ მოქარგა მინდორი,
სჩანს, გაზაფხულის ჰირია!

სერზე შემდგარა მეცხვარე,
დასცქერის თავის ფარასა;
ბატკანი დედას დაეძებს,
დედა-კი—მწვანე ბალახსა!

დაჭკრა, დაუკრა საკვნესმა,—
ეს ტკბილი სალამურია,
შროშანიც შემოფრენილა,
შაშვი ხომ შინაურია!

მთას ეხლაზნება ღრუბელი,
ჰირს ეცრემლება ვენებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი ეალხზე თამაშობს,
ფუნდრუკი გააქვთ მშველებსა!

ამოიწია ჯეჯილმა,
გადგა ბორჯი და ძირია,
მზემ გადმოუშვა სხივები,
სჩანს, გაზაფხულის ჰირია!

ი. ევდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთის თავხედის თაგვის ამბავი

ზი! ბზი! სულთამხუთავო! რას შემოგქერი შენის მოსისხლე თვალებითა? აბა, ამოდი, თუ კაი ბიჭი ხარ! საქმე ეგ კი არ არის, რომ ძირს მოგვასწრობ ხოლმე და მზეს დაგვიბნელებ, შენ თვითონ მზე დასაბნელებელო, შენა! ამოდი რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, რა კუდსა ხლაკნი და სიმსუნაგით ღნავი!

ასე აჯავრებდა მარანში ჩამოკიდებულ მსხლების ჯაგანზედ მჯდომი თაგუნია ციცას, თან უკანა ფეხებზედ დაეუნტებულიეო, ულვაშები გაებზიკა, წინა თათებს ერთმანერთს უსვამდა და დაცინვით მალ-მალ ცალ თვალს ხუჭავდა.

— ამოდი, რაღა, ჩიჩია არ მოგინდა, მომარხულე ქალბატონო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცა-კი გამწარებით კნაოდა, სცდილობდა როგორმე ძე-
მსტარიეო მაღლა და გაებაწრა ი თავხედი ქურდბაცაცა.

— დაიცადე, შე თავხედო, თუ ჩემი ჰატრონის მსხლების
შეჭმა შეგარჩინო, თავზედ ქუდი აღარ მეხუროს და თქვენი მა-
სხარა გავხდე!

რაკი ვერაფერს გახდა, კატამ მოთმინე-
ბას თავი მისცა, იქვე ძირს წამოწვა და თვა-
ლები მოკრუტა, ხანდახან ცალ თვალს ახელდა
და თაგვს ზვერავდა.

თაგვი-კი თამამად ხრავდა მსხალს და ქე-
რქის ნამცეცებს კატას თავზედ აყრიდა. კატა კიდე, იობის
მოთმინებით აღჭურვილი, სულგრძელებით იტანდა ამ გაწ-
ბილებას, იწვა და ელოდა.

— ერთხელც იქნება, ძირს ჩამობძანდები, ქალბატონო,
სულ მანდ ვერ იჯდები, შენისთანა თავხედების ბოლო კარ-
გად ვიცი,—ამბობდა გუნებაში ციცა.

თაგვი-კი არხეინად იჯდა და ტკბილ მსხალს ხრავდა და
ხრავდა. ზოგი სულ გამოელრუტნა, ცარიელი ქერქი-ღა ეკი-
და, ზოგი ნახევრად გამოეხრა, ზოგისათვის უუნწი მოეჭამა
და ასეთი მსხალი ძირს ჩავარდნილიეო. ერთის სიტევით, ჯა-
გნებისათვის ძალიან ცუდი დღე დაეუნებინა.

უცებ ერთი უუნწ მოჭმული მსხალი ბზრიალით წამოვი-
და ძირს და არხეინად მწოლარე კატას ზედ თავზედ დაეცა.

ვინ იცის, რა ეგონა საწყალ ციცას: სახლის დანგრევა,
ღვთის რისხვა, თუ ძაღლების თავდასხმა, ისეთი ფხუკუნით
წამოხტა ბეწვ აშლილი, კუდ აფხორილი.

— მიაუუ! მიაუუ! დაიღნავლა შეშინებულმა კატამ და თან
საომრად მოემზადა.

— ჭა, ჭა, ჭა! იცინოდა ზევიდან თაგვი. რაო, ულუსლის მსმელო, რამ დაგიფრთხო ძილი? მოისვენე, ძილს ნუ დაიფრთხობ!

ამას შემდეგ კიდევ კარგა ხანს მოისმოდა გახარებულ თაგვის ხითხითი, ასე რომ იმის ხმაზედ მეორე კუნჭულში სხვა წრუწუნამაც გამოუო ცხვირი და ულვაშები, უნდოდა გაეგო მხიარულების მიზეზი, მაგრამ უცებ უზარმაზარ მხეცს მოჭკრა თვალი და, ელდა ნაკრავივით, სოროს ეცა. ჭრიჭინაც გამომძვრალიეო თავის ექვსის ფეხით და ულვაშებზედ ხელს ისვამდა.

— რა იეო, რა მოხდა, მეზობელო?

მეზობელი ძალიან მხიარული იეო და ჭრიჭინასათვის ეურადღებაც არ მიუქცევია.

კატამ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მტერი არსად სჩანდა, მხოლოდ ძირს ეუნწ-მოჭმული მსხალი გორავდა, და მაღლა-კი თაგვი იცინოდა.

კატამ, ვითომ და აქ არაფერიაო, ცოტა მიიარ-მოიარა, მივიდა და ისევ თავის ადგილზედ დაწვა.

— დაიცა, წრუწუნავ, მსხლებსა ჭერი, ვითომ უნდა გული გამიხეთქო, მაგრამ შენც ბოლოს ძაგ მსხლებთან ერთად აქ ჩამობძანდები. ვიქონიოთ მოთმინება!

ასე გადიოდა ხანი. კატა მხოლოდ ცოტა ხნობით დგებოდა, ისიც მაშინ, თუ სადმე ფიცრებსა და გოდრებს უკან თაგვები დაიწყებდნენ ფხაკუნს. გამოჭუავდა გაბაწრული თაგუნია, ჯერ გაუშვებდა, მისცემდა ნებას გაქცეულიეო, მერე ერთის ნახტომით ისევ იჭერდა და თათებით ბღუჯავდა. თავხედი თაგუნა თუმცა ამ დროს ჯაგანზედ იჯდა, მაგრამ რომ მოესმოდა გაბაწრულ მოძმის წრუწუნი, მსხლებში ძვრებოდა და შიშით კანკალი გაჭქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გადიოდა დღეები.

თაგვმა თითქმის სულ შეჭამა მთელი ჯაგანი, მხოლოდ ერთი-ღა ეკიდა.

— ერთი თუ ამ გათავებისას კიდევ არ დაგაფეთიანე, კატუნა, რაღა ბიჭი ვარ,— სთქვა წრუწუნამ და გრძელ ულვაშში ჩაცინა. თვალწინ წამოუდგა, შეშინებული კატუნია როგორ ფხუკუნით წამოვარდებოდა.

ჩაცხრა წრუწუნა ამ ერთად ერთ მხსალსაც.

— მოვხრავ უუნწს, ჩავარდება და მაშინ ნახე სეირი!

ზედ შესკუპდა, თან თვალი ციცასკენ ეჭირა, როდის დაეძინებოდა.

კატა წევს, თავი მოუმძინარებია, ხანდახან ცალის თვალით მაღლა შეიცქირება.

— ეს ერთი მხსალი-ღა აბია, ფიქრობს ციცა, თაგვი ზედა ზის და თავს უხრავს. აჰა, თუ რა მოგივიდეს, სულელო, დაიცა ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს.

თაგვი-კი დიდ სიამოვნებაშია. თან ტკბილის მსხლით ჰირს იგემრიელებს, თან ეუნწსა ხრავს, რომ კატას თავი გაუტეხოს...

უცებ რაღაცა მოხდა. ჭერი მაღლა-მაღლა წავიდა, მხსალი ხელიდან გაეშვა, ორივენი სადღაც მიფრინავენ. ვაი უბედურებავ, ის სისხლის მსმელი კატა საცაა თაგვთან ახტება, ისე ახლო გამოჩნდა! თაგვს შიშით თვალთ დაუბნელდა. აგერ მხსალი იქით გაგორდა, თაგვი-კი კატას ზედ ზურგზედ დაასტა.

— მიაუუ! დაიჩხავლა საზარლად ციცუნამ და წამოვარდა ზეზე.

წრუწუნაც მალე მოვიდა გონებაზედ და ეცა მარნის კედლებს, მაგრამ არც ციცას ეძინა, ერთის ნახტომით წრუწუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე კლანჭებში მოიგდო და, ვითომ და აქ არაფერი მომხდარა, სეინად გაამოსწია თავის საწოლისაკენ.

საწყალ თაგუნას თვალები გადმოჰკარკლოდა, მხოლოდ კუდზედ შეატეობდი, რომ კიდევ ცოცხალი იყო,—რადგან ჭიაუელასავით ისლაკნებოდა.

— კარგა გამიტეხა თავი! იმახდა ციცუნა, გული არ გამიხეთქა ამ წრუწუნამ!

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგლოს გატყეპა

ნინო, ქეთო!... ქეთო, ნინო... სადა ხართ, თქვე გასაწყვეტნო! გოგო, ქეთო, ნინო!...

— აქა ვართ, აქა...

— სადა, გოგო?!

— ბოსტანში, ბოსტანში!

გოგლო თვალის დახამხამების უმალ ქეთოსა და ნინოსთან დაიბადა... და, ღმერთო, რა ნახა!

ქეთოსა და ნინოს თქვენი მოწონებული არიფანა გაემართათ და მერე რა მოხერხებულად! რა არა ჭქონდათ?! ვაშლი, მსხალი, ბურის ვეებერთელა უუა, შაქრის ორი ბაწაწკუნა ნატეხი, ალბად დიდედას ჯიბიდან მოპარული დაობებული ჩურჩხლის ნაჭერი და ბევრი სხვა. თეფშების მაგიერობას კაკლის ბრტყელი ფოთლები სწევდა, ხოლო ჭიქებისას კი იმ დღეს მახლობელ ტეეში სეირნობის დროს აკრეფილი მუხის რკოს ძირები.

ჩვენს კუდრაჭებს თავიანთ ტიკინები რიგზედ ჩაემწკრივებინათ ბ ლვინის მაგიერ, რკოს ძირებით წყალს ერთგულად სთავაზობდნენ.

— არა, თქვე ეშმაკებო თქვენა, უჩემოდ რომ არიფანასა ჭმართავთ, შეგარჩენთ, თქვენა გგონიათ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცარიელ-ტარიელი რომ მოდიხარ, ვაჟბატონო, — ეუბნ-
რაო? მოიტანდი შენს წილს და ითამაშებდი რა! — ჩაიბურტ-
ეუნა ნინომ.

— ჭოდა მართლა, ჩვენს გამართულზედ-კი მარჯვედ იქ-
ნები! — დაუმატა ქეთომ.

— არ მათამაშებთ და სულეველაფერს დაგიშლით! — რი-
ხიანად დაიწყო გოგლომ.

— ბატონ ჩემს გაუმარჯოს! — წამოიძახა გაწიწმატებით
ნინომ და ჩხუბის მოახლოვების სუნი აიღო.

— არა მინდა-რა, ერთი ხელი ახლე და ნახავ შენს ეო-
ფას! შენ იქნება გგონია გოგოლაანთ მარიკასავით დაგაბრი-
ეეებინოთ თავი?! — ხმა შემაღლებით დაიწყო ქეთომ.

— თქვენ მე უნდა შემაშინოთ?! მაშ, არ მათამაშებთ? —
ასლა-კი მოთმინებიდან გამოვიდა ჩვენი გოგლო.

— არა, — უთხრა ქეთომ.

— შენი წილი ეველაფერი მოიტანე და მაშინ, — სცადა
ჩხუბის თავიდან აცილება ნინომ.

— არც არაფერს მოვიტან და არც თქვენ გათამაშებთ, —
წაილაპარაკა გოგლომ და ტიკინების წასაკვრელად ფეხი ამართა.

მაგრამ ამ დროს ის მოხდა, რასაც ჩვენი ეანეეალა გო-
გლო სრულიად არ მოელოდა: ბრაზისაგან ჭარხალივით გა-
წითლებულმა ქეთომ ერთი ისეთი ზამბანი გაადინა გოგლოს
ბეჭებში, რომ თვითონაც-კი გაუკვირდა, ესე როგორ ჩავარ-
ტეიო.

გოგლო მიტრიალდა მტრის დასახვედრად, მაგრამ არც
ნინოს ეძინა: ჭკრა ხელი გოგლოს და მიწაზედ გაშხლართა.
დიდის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზედ გოგლო, მაგრამ ქეთო
და ნინო კარგა შორს მანძილზედ მირბოდნენ; ერთი ლაზა-
თიანი წიხლი არიფანასა და ტიკინებს უთავაზა და ღრიალი
დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ამბით წავიდა გოგლო შინისკენ, დიდხანს ესმოდათ სიცილ-კუჭკუჭით დაოსებულ ქეთოსა და ნინოს გატეხილ გოგლოს ღრიალი. გოგლოს-კი ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა, რომ გოგოებმა გატეხეს ტოლებში ნაქები გოგლო და მუქარას მუქარაზედ უთვლის ქეთოსა და ნინოს.

— დამაცადონ, რა ოინი უყო!—ეს მესამედ უთქვამს გოგლოს.

მაგრამ თუმცა გატეხილია გოგლო, თუმცა ჯერ კიდევ თვალცრემლიანი გოგოლაანთ მარიკასთან გაიქცა, რომ ქეთოსა და ნინოს აშრობა ჩაახარონ, მაინც მჯერა, რომ ერთის საათისა, თუნდა ორი საათის შემდეგ, თავის გამტეხლების ეზოში გაჩნდება და, სირბილისაგან გულამოვარდნილი, მორთავს ნაცნობ ძახილს: ქეთო, ნინო! ნინო, ქეთო!...

ვ. თამროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტამბუქტუ

(რუსულით)

სიერა-ლეონეში ერთ ფრანგს ჰყავდა ერთი დიდი მაიმუნი. ამ მაიმუნს ტამბუქტუს ეძახდენ. ტამბუქტუ პატრონს მოსამსახურის მაგიერობას უწევდა. მაგალითად, დაირეკებოდა ზარი თუ არა, მაშინვე კარებს გააღებდა, მიიღებდა სტუმრებს, მერე გააცილებდა ხოლმე. გამოთხოვებისას სამსახურისთვის ქუდს გაუწოდებდა, სთხოვდა ტკბილეულობა რამ მიწყალობეთო.

როცა ფრანგის ოჯახი სამშობლოში წავიდა, ტამბუქტუც თან წაიყვანა. გზაში პირველად ტამბუქტუს ზღვამ აწყინა, მაგრამ მალე შეეჩვია და შემდეგ ბაქანს ადარა ჭშორდებოდა. ხშირად აცოცდებოდა ხოლმე ანძებზედაც. ყველა მეზღვაურს დაუმეგობრდა.

ერთხელ, დილით, ბაქნიდან საშინელი ყვირილი მოისმა. წამოცვივდნენ ყველანი: გემის უფროსი, მეზღვაურნი, მგზავრნი და ბაქანზე გამოიჭრნენ. აქ ნახეს ფრანგის ცოლი, რომელსაც გაფითრებული სახე დაჭრეჯოდა, თვალებს გიჟივით აბრიალებდა, მთლად სიკვდილის ფერი დასდებოდა.

— იქ... იქ... ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და თითს ანძისაკენ იშვერდა.

საშინელი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ იქ მყოფთა! ზედ ანძის წვერზე წამოსკუპებულიყო ტამბუქტუ, ხელში პატრონის რვა თვის ბავშვი ეჭირა და აქანავებდა სწორედ ისე, როგორც მისის დედისაგან ჭქონდა დანახული. ხანდახან ზურგზე ხელს მოუცაცუნებდა და ისევ დაუწყებდა ქანაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი სულ ერთ წამს გაგრძელდა.

მერმე, უეცრად, შიშით გაქვავებულ მაყურებლების თვალწინ გადახტა, კუდით თოკს მოეკონწიალა და თავდაყირა ქანაობა დაიწყო ბავშვიანად. დედამ შეჰკივლა. გემის უფროსმა მეისვე ხელი ტუჩებზე მიიფარა:

— „სუ, არ შეაშინო, ბავშვი გაუვარდება ხელიდანაო“. მაიმუნმა ქანაობას თავი დაანება და ანძას ჩამოჰყვა ჩამოცურვითა. ამ დროს საშინელი ქარი ამოვარდა. მაიმუნმა ანძას თავი დაანება, საოცარის სისწრაფით გადმოხტა, ცალიხელი თოკს წაავლო, თოკიდან კიბეზე ჩამოხტა და კიბიდან ბაქანზე. დედას გული შეუწუხდა და მკვდარივით გადაესვენა. ბავშვი უვნებლად გადარჩა.

ლ. ელიავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპილო

(თარგმანი)

I

ბატარა ქალი ავად არის. საქიმოდ დიდის ხნის ნაცნობი მიხეილ პეტრეს ძე დადის. ორი სხვა ექიმიც მოჰყავს.

ექიმები ეურადღებით სინჯავენ ავადმყოფს. ხან გულ-ალმა დაუწყვენენ, ხან გულ-დალმა, ეურს მიადებენ ტანზე, აუწევენ თვალის ქუთუთოებს და ასე სინჯავენ. ამ დროს ექიმები გაჭირვებით სუნთქავენ, სახის მეტყველება მკაცრი აქვთ, ერთმანეთში გაუგებარ ენით ლაპარაკობენ. შემდეგ ექიმები საბავშვო ოთახიდგან სასტუმროში გადიან; ქალის დედა იქ ელოდება. უფროსი ექიმი მაღალის ტანისაა, ჭაღარა, ოქროს სათვალეებს ხმარობს; რაღასაც ეუბნევა დედას მოკრძალებითა. კარი ღიაა და საწოლიდგან ავადმყოფი ეველაფერს ჭხედავს და ლაპარაკს ეურს უგდებს. ბევრი რამ არ ესმის ამ ლაპარაკისა, მაგრამ იცის, რომ ლაპარაკი იმას შეეხება. თვალ-ცრემლიანი დედა მოქანცულის თვალებით შეჰეურებს ექიმს. გამოშვიდობებისას უფროსი ექიმი ხმა მაღლა ამბობს: ბირველი ის არის, ბავშვი გაართოთ, არ მოაწყინოთ, ოჯველივე მისი სურვილი, რაც მოინდომოს, აასრულეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა წუალში ჩავარდეთ, ბატონო ექიმო, რომ ასეთი თარი სურვილი აღარა აქვს!

— მაშ, არ ვიცი... მოიგონეთ, რაც მოსწონდა წინად, რაც უყვარდა... სათამაშოები, რამე ტკბილეულობა...

— აღარაფერი აღარ ეხალისება.

— ეცადეთ და გაართეთ როგორმე... ვატიოსან სიტყვას გაძლევთ, თუ როგორმე მოახერხებთ მის გართობას, გამხიარულებას, ეგ იქნება საუკეთესო წამალი... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ქალბატონო!

II

— ლიზიკო, ჩემო საყვარელო დოდონა! აბა, მითხარი, გენაცვალე, რა გინდა? ეკითხება დედა თავის ავადმყოფ ვატარა ქალს.

— არაფერი, დედილო.

— არ გინდა აქ მოგიტანო შენი ტიკინები? აქვე დაგიდგამ მაგიდას, ზედ იმათ სავარძლებს დავაწყობ, იარაღს დავამწკრივებ. დედოფლები ჩაის დალევენ, გააბამენ მუსაიფს, ამ მთისას იტყვიან, იმ მთისას...

— გმადლობ, დედილო... არაფერი არ მინდა.. გულის ადგილი არა მაქვს... მოწყენილი ვარ...

— მაშ კარგი, დედოფლებს თავი დავანებოთ. კატოსა და ფეფოს რომ დაუძახოთ, არ გესიამოვნება?

— არ მინდა, დედილო, არ მინდა, არაფერი არ მინდა. მოწყენითა ვარ.

— იქნება შოკოლადი გინდა?

ქალი გაჩუმებულია და სევდიანის, უძრავის თვალებით ჭერს შეჰყურებს. არაფერი არ სტკივა, სიცხეც აღარა აქვს, მაგრამ დღითი დღე ხდება და სუსტდება. რაც უნდა მოჰხდეს გარშემო, მისთვის სულ ერთია. დღე და ღამე უძრავადა წევს, გარინდებული, გულ-გრილი, მოწყენილი. მხოლოდ ხანდახან ნა-

ხევარ საათით წასთვლემს, მაგრამ სიზმარშიაც ელანდება ბალ-ღაც სევდის ამშლელი, მოსაწყენი შემოდგომის წვიმასავით გულ-გამაწვრილებელი სურათი. როცა საბავშვო და სასტუმრო ოთახის კარები ღიაა, ავადმყოფი თავის მამას ჭხედავს, სა-მუშაო ოთახში ბოლთასა სცემს და ჰაჰიროზს ჰაჰიროზზედ ეწევა ხანდახან გამოვა საბავშვო ოთახში, ჩამოჯდება ლოგინზე და ავადმყოფს უალერსებს, შემდეგ უცებ წამოდგება და ფანჯარა-სთან მიდის, რაღაცას უსტვენს, ქუჩაში იცქირება, მხარ-ბეჭი უთრთოლავს. შემდეგ საჩქაროზედ მიიფარებს ცალ-თვალზე ცხვირსახოცს და, თითქო გაჯავრებულიაო, გადის თავის სა-მუშაო ოთახში, კვლავ მოჭევება აჩქარებით, ბოლთის ცემას, ეწევა ხშირ-ხშირად ჰაჰიროზს. ჰაჰიროზის ბოლით ოთახი გა-ბურულია.

III

ერთხელ დილით, გამოეღვიძა თუ არა, ავადმყოფს უფრო მეტი მხნეობა დაეტყო; ძილში რაღაჯ სასიამოვნო სიზმარი ენახა, მაგრამ ვერ მოიგონა-კი, რა სიზმარი იყო და დიდხანს გაშტერებით შეჭყურებდა დედას თვალებში.

— გინდა რამე, შვილო? ჭკითხავს დედა.

ქალს უცებ მოაგონდება თავისი სიზმარი და ჩურჩულით, თითქოს საიდუმლოაო, ეუბნება დედას:

— დედილო... შეიძლება... სპილო? მაგრამ ისეთი-კი არა წინგში რომ სატია... შეიძლება? შეიძლება, დედი?

— რასაკვირველია, შეიძლება, ჩემო კარგო!

დედა მაშინვე მამას ოთახში გავიდა და უთხრა, ქალმა სპილო მოისურვაო. მამა მაშინვე ჩაიცვამს ჰალტოს, ქუდს დაიხურავს და სადღაც მიდის ეტლით. ნახევარ საათს შემდეგ დაბრუნდა და ძვირფასი ლამაზი სათამაშო მოიტანა. ეს იყო დიდი, რუხვი სპილო, რომელიც თავსა და კუდს თავის თავად

აქნევდა. სვილოს ზურგზე წითელი უნაგირი ედგა, უნაგირზე ოქროსფერი კარავი იდგა, შიგ სამი ჯუჯა კაცი იჯდა. მაგრამ ქალი გულგრილად უყურებს, არავითარი სიამოვნება არ ეტყობა.

— ეგ სრულებით ის არ არის. ნამდვილი, ცოცხალი სვილო მინდოდა, ეგ-კი მკვდარია.

— აბა, შეჭვედე, ჩემო ლიზიკო,—ეუბნება მამა,—აი ახლავე მოვმართავ და ცოცხალ სვილოსავით დაიწყებს სიარულს. მართლაც მომართა სვილო მამამ და იმანაც დინჯის ნაბიჯით დაიწყო სიარული მაგიდაზედ, თან თავსა და კუდს ანძრევდა. ბავშვი მაინც ხალისზედ არ მოვიდა, პირიქით, თითქო მოიწყინა კიდეც. მხოლოდ, მამას არ ეწყინოსო, წყნარად ჩურჩულებდა რაღასაც თავისთვისა.

— გმადლობ, ძლიერ გმადლობ, საყვარელო მამა, მგონია ასეთი კარგი სათამაშო არავის არ ექნება, მაგრამ გახსოვს, მამილო, წინად რომ დამპირდი, სამხეცოში წაგიყვან და იქ გაჩვენებ ნამდვილ სვილოსაო... და არ წამიყვანე-კი.

— გამიგონე, ჩემო საყვარელო, შეუძლებელია, სვილო ძლიერ დიდია, ჩვენს ოთახებში ვერ შემოეტევა. ან სად ვიპოვი?

— მამილო, მე აგრე დიდი არ მინდა... მომიყვანე თუ ვინდ ძლიერ პატარა, მხოლოდ ცოცხალი იყოს.

— შვილო, ყველაფერს აგისრულებ, მაგრამ ეგ შეუძლებელია. აბა, როგორ შეგისრულო, რომ მითხრა, ცოდგან მზე ჩამოძიღეო... პატარა ქალმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— რა სულელი ხარ, მამილო! განა მე არ ვიცი რომ მზის ჩამოღება არ შეიძლება, იმიტომ რომ მზე სწვავს. არც მთვარის ჩამოღება შეიძლება. მე მხოლოდ პაწაწინა ნამდვილი სვილო... ქალმა წყნარად მიხუჭა თვალები და ძლივს ჩურჩულით ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავიღალე, მომიტევე, მამილო..

მამამ თმაში ხელი იტაცა და გავარდა თავის ოთახში. ჯერ ჩვეულებრივის აჩქარებით დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა, მერე უცებ გადისროლა იატაკზე სიგარა თუმცა, ცოლს ხშირად უთქვამს ამისათვის საუვედური, და მოსამსახურე დედაკაცს დაუძახა:

— ოლღა, ჰალტო და ქუდი მომე ჩქარა!

ამ დროს ცოლი აივანზე გავიდა.

— სად მიდიხარ? ეკითხება ცოლი ქმარს, რომელიც ძლივს-ღა სუნთქავს და საჩქაროდ იკრავს ჰალტოს ღილებს.

— მე თვითონაც არ ვიცი, სად მივდივარ, მხოლოდ შეიძლება ამ საღამოს მართლა მოვიყვანო ცოცხალი სპილო.

ცოლი მეტად შეაშფოთა ამ ამბავმა.

— ჩემო კარგო, ავად ხომ არა ხარ? თავი ხომ არა გტკივა? იქნება კარგად ვერ გეძინა?

— სრულიადაც არ მძინებია!—მიუგო ქმარმა გაჯავრებით. მგონი, შენ ის გინდა მკითხო, ჯკუაზედ ხომ არ შევიშალე. ჯერ სულ არ შევშლილვარ. ნამსვამდის! საღამომდე უველაფერი გამოირკვევა.

ქმარმა მაგრად მიაჯახუნა კარები და წავიდა.

მშვიდობით!

ან. ქავთარაძე

(შემდეგი იქნება)





ვირის თავგადასავალი

XIV ტერეზა

(ფრანგულით)

ჩემს ბატარა ბატონებს (იმდენი ბატონი მეავდა, რამდენიც შვილის შვილი ჰქონდა ბებიას) ჰქონდათ ერთი დეიდაშვილი ტერეზა, რომელიც ძალიან უყვარდათ. მეტად კარგი და კეთილი ბავშვი იყო, როდესაც შემჯდებოდა, თავის დღეში წკეპლას არ დაიჭერდა, და სხვებსაც უშლიდა ჩემს ცემას. ერთ-ხელ სეირნობის დროს გზის პირას მჯდომარე პაწია გლახის გოგო დაინახეს, რომელიც კოჭლობით მიუახლოვდა და მოწყალება სთხოვა. მისმა ნაღვლიანმა და შემკრთალმა სახემ მიიქცია ტერეზას და მის ამხანაგების ყურადღება.

— რად კოჭლობ, ჩემო ბატარა? დაეკითხა ტერეზა.

გლახა. ჩემი ქოში *) ფეხსა მტკენს, ქალბატონო.

ტერეზა. რატომ დედა შენი სხვებს არ ჩაგაცმევს?

გლახა. მე დედა არა მყავს, ბატონო.

ტერეზა. მამა?

გლახა. არც მამა მყავს, ბატონო.

ტერეზა. მაშ ვისთან ცხოვრობ?

გლახა. არავისთან, მარტო ვარ.

ტერეზა. პურს ვიღა გაჭმევს?

გლახა. ხან ქვეყანა, ხან არავინ.

ტერეზა. რამდენის წლისა ხარ?

---

*) საფრანგეთში ღარიბი ხალხი ხის ქოშებსა ხმარობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლახა. არ ვიცი, ბატონო, იქნება შვიდისა ვიყო.

ტერეზა. სადა გაქვს ბინა?

ვლახა. საცა მიმიღებენ, და თუ არავინ შემიშვა, კარში ვწვები ხოლმე ან ხის ან ღობის ძირში, საცა მოძხვდება.

ტერეზა. ზამთარში ხომ გაიყინე?

ვლახა. მართალია მცივა ხოლმე, მაგრამ შეჩვეული ვარ.

ტერეზა. დღეს სადილი არ გიჭამია?

ვლახა. გუშინდელს აქეთ არა მიჭამია რა.

— ოჰ რა საშინელებაა!.. წარმოსთქვა ცრემლ-მორეულმა ტერეზამ. მგონი ბებია მოგვცემს ნებას, რომ ამ ბატარას ვაჭამოთ რამე და ბინა მივცეთ ჩვენსა.

— რასაკვირველია, ერთხმად შესძახა სამმა ქალმა, ბებია დიდი კმაყოფილი იქნება; ეოველთვის გვისრულებს ხოლმე სურვილს.

მადლენა. სასახლემდინ როგორ მივიყვანოთ, ტერეზა? ხედავ, როგორ კოჭლობს!

ტერეზა. კადიშონზე შევსვათ, და ჩვენ ფეხით გავყვეთ.

— მართალი ხარ, რა კარგად მოიფიქრე! შესძახა სამივ დეიდაშვილმა და შესვეს ჩემზე ბატარა გოგო. კამილას ჯიბეში ჰქონდა საუზმიდან დანარჩენი ერთი ნაჭერი ბური და გოგოს მისცა, რომელმაც ხარბად შესჭამა; რა რიგ უხარიოდა ჩემზე ჯდომა! თუმცა არას ამბობდა, მაგრამ მეტად დალალული და მშიერი იყო საბრალო. როდესაც კარებს წინ მოვიყვანე, კამილამ და ელიზამ შეიყვანეს ვლახა სამზარეულოში, მადლენა და ტერეზა კი ბებიასთან შევიდნენ.

— ბებია, შესძახა მადლენამ, ნება გვიბოძეთ ბური ვაჭამოთ საბრალო ბატარა ვლახას, რომელიც გზიდან წამოვიყვანეთ.

ბებია. სიამოვნებით, ჩემო საყვარელო, ვინ არის?

მადლენა. არ ვიცით, ბებია.

ბები. სად ცხოვრობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლენა. არსად, ბებია.

ბებია. როგორ თუ არსად, მაშ მაგის დედ-მამას ბინა არა აქვთ?

მადლენა. არავინა ჰყავს, ბებო. ობოლია.

— ნებას არ გვიბოძებთ, ბებია, — შეეკითხა მოკრძალვით ტერეზა, — რომ აქ დავაბინავოთ საბრალო პატარა?

— თუ მართლა ბინა არსად აქვს, დიდის სიამოვნებით, უპასუხა ბებიამ. ერთი მაჩვენეთ — ველაპარაკო.

წამოდგა და გაჰყვა პატარებს სამზარეულოში, სადაც გლახა ათავებდა თავის სადილს. გოგო კოჭლობით მიუახლოვდა, ბებია შეეკითხა, და იმანაც იგივე უპასუხა, რაც პატარა ქალებს. ბებია შეფიქრიანდა. სად გაეგდო, ან რომ მიეღო, ვისთვის ჩაებარებინა, რომ ეპატრონებინათ და ესწავლებინათ რამე.

გამიგონე, გოგუცა: მანამ მე შევიტყობ რასმე შენ შესახებ, შეგიძლიან აქ დარჩე, ბინა გექნება და საზრდო. უბრძანა მოახლეს, მიეცათ მისთვის ქვეშაგები და არა მოეკლოთ რა, მაგრამ საბრალო ისეთი ტურტლიანი იყო, რომ ახლო ვერავინ მიჰკარებოდა. ტერეზა საშინლად სწუხდა, რადგან ბებიას მოსამსახურეებს ძალას ვერ დაატანდა, რომ მოეკლოთ მისთვის. „მე მოვიყვანე ეს პატარა და ისევ მეკე უნდა უპატრონო“, ფიქრობდა ტერეზა. — მომიცადე, ეხლავე მოვალ, — გაიქცა თავის დედასთან და უთხრა: — დედიკო, მე დღეს სომ უნდა ვიბანო?“

დედა. ჰო, შვილო, წადი, გადია გელის.

ტერეზა. დედაჯან, ნება მომეცი, რომ ჩემს მაგივრად პატარა გლახა ვაბანოთ, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ.

დედა. ვინ პატარა გლახაა! მე არ მინახავს!

ტერეზა. პაწია საბრალო გოგო, რომელსაც დედამაც არა ჰყავს, არც ბინა აქვს, არც საზრდო, არც არავინ ეურისმგდე-

ბელი, გარედ სძინავს და რასაც მიუგდებენ, იმით ბავდება. კამილას ბებიამ მ.ი.ი.ლ.ო, მაგრამ მოსამსახურეები არ ეკარებიან.

დედა. რატომ?

ტერეზა. იმიტომ, რომ მეტად ჭუჭეიანია და ეზიზღებათ. თუ ნებას მომცემ, ვაბანებ ჩემს მაგივრად თუ გადია არ გახდის, მე თითონ გავხდი, და საბონსაც წავუსვამ, გავკრეჭ კიდეც, რადგანაც თავი მეტად ჭუჭეიანი აქვს.

დედა. ჩემო საბრალო ტერეზა, შენ-კი არ შეგეზიზღება მისი დაბანა?

ტერეზა. ცოტათი დედიკო, მაგრამ სულ იმას ვიფიქრებ, ამის ალაგას რომ ვეოფილიეავ, რა რიგ მიამებოდა, რომ ეური ეგდო ვისმე ჩემთვისა. იმის ნებაც მომეცი, დედაჯან, რომ ჩემი ძველი ტანისამოსი ჩავაცვა, მანამ ახლებს უეიდი.

დედა. რასაკვირველია, ჩემო ბატარავ; მაგრამ რითი უეიდი? სამი ფრანკის მეტი ხომ არა გაქვს, ეგ მარტო ბერანგის ფასი იქნება.

ტერეზა. დედაჯან, განა დაგავიწყდა ჩემი ოცი ფრანკი?

დედა. მამას რომ მიაბარე, არ დამეხარჯოსო? აკი სახარება უნდა გეეიდნა, კამილას რომა აქვს, იმ გვარი?

ტერეზა. მე ძველი სახარებითაც იოლად წავალ.

ან. ამილახვარი

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ა

ზამთრით მოვალ, ზამთრით მივალ, ვინ ვინახავთ ჩემისთანა?
შარშან ამ დროს ახალგაზრდა—დღეს უძლური ბებრუსანა.

რ ე ბ უ ს ი



(ქალაქი დედა შენის)

***

მე-6 №-ში მოთავსებულ გამოცანების ალნა:

ანაგრამის ალნა: ბრაზი—ბზარი.

რებუსების ალნა: 1) იასამანი ეკავილია. 2) სპილო მშვიდი ცხოველია.

რედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**